

**Georgian Traditional Clothing Silhouette and Its Coding**  
ქართული ტრადიციული სამოსის სილუეტი და  
მისი კოდირება

**Nino Dolidze**

Candidate of technical sciences,  
Professor at Akaki Tsereteli State University  
e-mail: [nino.dolidze@atsu.edu.ge](mailto:nino.dolidze@atsu.edu.ge)  
ORCID: <https://orcid.org/0000-0003-0142-7463>

**Khatuna Darsavelidze**

PhD in Engineering Sciences,  
Akaki Tsereteli State University  
e-mail.: [khatuna.darsavelidze@atsu.edu.ge](mailto:khatuna.darsavelidze@atsu.edu.ge)  
ORCID: <https://orcid.org/0009-0000-2754-9448>

**Abstract:** Creation of modern clothing collections using ethnic elements requires a detailed knowledge of traditional clothing as a primary source from the designer. Over time, museum samples of national costume will become more unique and valuable, and access to them will be even more limited. One of the approaches to solving the mentioned problem is the creation of a database and search information program in a single digital format by systematizing clothing elements.

Based on the above, the preservation of Georgian traditional clothes in an innovative way (in digital form), contactless virtual access and use as needed is a current direction of scientific research. In order to solve the set task, it is important to conduct an analysis of the constructive-compositional characteristics, among which the silhouette shape of the garment is an important indicator. It has been assigned the first level in the classification of elements of traditional clothing.

In order to determine the silhouette, the museum exhibits were studied in the regional and national museums, in particular, the dress forms included in the ethnosamos complexes, the quality of their clothing on the body.

The analysis of the ethnoforms of the Georgian dress revealed that three types of silhouettes are common: extended, straight and extended. The frequency of meetings of the mentioned forms according to the regions and accordingly the percentage ratio of the meeting from the total number was determined. Based on the number of meetings of silhouette forms, their coding was carried out using the methods of mathematical statistics.

The results of the conducted research showed that among the silhouette forms of

the dress, the drawn silhouette is the most often found, the extended silhouette is less common, and the straight silhouette is relatively rare, although the difference between the number of meeting the mentioned silhouettes is not significant.

Thus, the results obtained from the conducted research will be used during the formation of the electronic bank of traditional clothing characteristics, based on which a program will be developed, through which it will be possible to obtain comprehensive information about museum samples without direct contact with them.

**Key words:** (traditional clothes), (constructive features), (silhouette), (coding), (electronic bank).

#### ნინო დოლიძე

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი,  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პროფესორი

ელ-ფოსტა: [nino.dolidze@atsu.edu.ge](mailto:nino.dolidze@atsu.edu.ge)

ORCID: <https://orcid.org/0000-0003-0142-7463>

#### ხათუნა დარსაველიძე

საინჟინრო მეცნიერებათა  
აკადემიური დოქტორი,  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელ-ფოსტა: [khatuna.darsavelidze@atsu.edu.ge](mailto:khatuna.darsavelidze@atsu.edu.ge)

ORCID: <https://orcid.org/0009-0000-2754-9448>

**აბსტრაქტი:** ეთნოელემენტების გამოყენებით თანამედროვე ტანსაცმლის კოლექციების შექმნა დიზაინერისაგან მოითხოვს ტრადიციული სამოსის, როგორც პირველწყაროს, ზედმიწევნით ცოდნას. დროთა განმავლობაში ეროვნული კოსტიუმის სამუზეუმო ნიმუშები გახდება უფრო უნიკალური და ფასეული, მათთან წვდომა კი კიდევ მეტად შეიზღუდება. აღნიშნული პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ მიდგომას წარმოადგენს ერთიან ციფრულ ფორმატში მონაცემთა ბაზისა და სამიუზეო-საინფორმაციო პროგრამის შექმნა სამოსის ელემენტების სისტემატიზაციით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქართული ტრადიციული სამოსის ინოვაციური მეთოდით (ციფრული სახით) შენახვა, კონტაქტის გარეშე ვირტუალური წვდომა და საჭიროებისამებრ გამოყენება სამეცნიერო კვლევის აქტუალური მიმართულებაა.

დასახული ამოცანის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია კონსტრუქტორულ-კომპოზიციური მახასიათებლების ანალიზის ჩატარება, მათ შორის

მნიშვნელოვანი მაჩვენებელია სამოსის სილუეტური ფორმა. მას ტრადიციული სამოსის ელემენტების კლასიფიკაციაში პირველი საფეხური აქვს გამოყოფილი.

სილუეტის დადგენის მიზნით რეგიონალურ და ეროვნულ მუზეუმებში შესწავლულ იქნა სამუზეუმო ექსპონატები, კერძოდ ეთნოსამოსის კომპლექსების შემადგენლობაში შემავალი კაბის ფორმები, მათი ტანზე გამოწყობილობის ხარისხი.

ქართული კაბის ეთნოფორმების ანალიზმა გამოავლინა, რომ ძირითადად გავრცელებულია სილუეტის სამი სახე: გამოყვანილი, სწორი და გაფართოებული. განსაზღვრულ იქნა აღნიშნული ფორმების შეხვედრათა სიხშირე რეგიონების მიხედვით და შესაბამისად შეხვედრის პროცენტული თანაფარდობა საერთო რაოდენობიდან. სილუეტური ფორმების შეხვედრათა რაოდენობიდან გამომდინარე, მათემატიკური სტატისტიკის მეთოდების გამოყენებით, განხორციელდა მათი კოდირება.

ჩატარებული კვლევების შედეგებმა აჩვენა, რომ კაბის სილუეტურ ფორმებს შორის ყველაზე ხშირად გამოყვანილი სილუეტი გვხვდება, უფრო ნაკლებად გაფართოებული, ხოლო შედარებით იშვიათად სწორი სილუეტი, თუმცა აღნიშნული სილუეტების შეხვედრის რაოდენობათა შორის სხვაობა არცთუ მნიშვნელოვანია.

ამრიგად, ჩატარებული კვლევებით მიღებული შედეგები გამოყენებული იქნება ტრადიციული სამოსის მახასიათებლების ელექტრონული ბანკის ფორმირების დროს, რის საფუძველზე დამუშავებული იქნება პროგრამა, რომლის საშუალებით შესაძლებელი იქნება სამუზეუმო ნიმუშების შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიღება მათთან უშუალო კონტაქტის გარეშე.

**საკვანძო სიტყვები:** ტრადიციული სამოსი, კონსტრუქტორული მახასიათებლები, სილუეტი, კოდირება, ელექტრონული ბანკი.

\*\*\*

**შესავალი:** ქართული ტრადიციული სამოსი ერის მატერიალური კულტურის და ჩვენი ისტორიული ფასეულობების თვალსაჩინოებაა. ასწლეულების განმავლობაში ის თაობებისათვის გახლდათ მათი იდენტობის, ღირებულებების და მსოფლმხედველობის განივთებული ცნება. (ნ. დოლიძე...2017: 380, Dolidze, N...2024:243-247) ეროვნული სამოსისადმი ინტერესი კიდევ უფრო იზრდება და პოპულარული ხდება ტანამედროვე კოლექციების დაგეგმარება თანამედროვე ქართული ეროვნული სამოსის ელემენტების გამოყენებით. (Долидзе Н...2018) გლობალიზაციის და საერთო კოსმოპოლიტური სივრცის პირობებში პატარა ერებისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია მატერიალური კულტურის ძეგლების, ჩვენს შემთხვევაში კი ქართული ტრადიციული სამოსის ახალ

თაობებამდე მათი ავთენტურობის სრული დაცვით გაცნობა და მოტანა. ქართული ტრადიციული სამოსის ყოველმხრივ შესწავლა შეუძლებელია სამუზეუმო ორიგინალებთან უშუალო კავშირის გარეშე, რაც გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს, მუზეუმის შესაბამის ფონდებთან შეზღუდული წვდომის გამო. გამოფენათა ექსპოზიციები და ილუსტრირებული ალბომ-კატალოგები კი არ იძლევა სრულ, ამომწურავ წარმოდგენას ფონდებში დაცული კოლექციების შესახებ.

აღნიშნული პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ მიდგომას წარმოადგენს ერთიან ციფრულ ფორმატში მონაცემთა ბაზისა და საძიებო-საინფორმაციო პროგრამის შექმნა სამოსის ელემენტების სისტემატიზაციით.(*И. Угрехелидзе...2019: 368-371*)

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქართული ტრადიციული სამოსის ინოვაციური მეთოდით (ციფრული სახით) შენახვა, კონტაქტის გარეშე ვირტუალური წვდომა და საჭიროებისამებრ გამოყენება სამეცნიერო კვლევის აქტუალური მიმართულებაა.

ასეთი ამოცანის გადაჭრა საჭიროებს შესაბამისი მონაცემთა ბაზის ფორმირებას, რომელიც სისტემატიზებულს გახდის ინფორმაციას ტრადიციული სამოსის შესახებ.

სამეცნიერო სტატიაში განხილულია ქართული ტრადიციული სამოსის კონსტრუქტორული მახასიათებლების ანალიზი და ელექტრონული ბანკის ფორმირების საკითხები ერთერთი მნიშვნელოვანი მახასიათებლის სილუეტის ფორმის მაგალითზე.









კონსტრუქტორულ-კომპოზიციური მახასიათებლების ანალიზის ჩატარებისას მნიშვნელოვანი მაჩვენებელია სამოსის სილუეტური ფორმა.













სილუეტის დადგენის მიზნით რეგიონალურ და ეროვნულ მუზეუმებში შესწავლილ იქნა სამუზეუმო ექსპონატები, კერძოდ ეთნოსამოსის კომპლექსების შემადგენლობაში შემავალი ელემენტის -კაბის ფორმები და მათი ტანზე გამოწყობილობის ხარისხი.









ქართული ტრადიციული კაბის სილუეტის საფუძველს გეომეტრიული ფორმები (მართკუთხედი, ტრაპეცია) (ცხრ. 1) წარმოადგენენ. კვლევის შედეგად დადგენილ იქნა გავრცელებული სილუეტური ფორმების შეხვედრათა სიხშირე და განხორციელდა სილუეტური ფორმებისათვის კოდირება, შეხვედრათა სიხშირის მნიშვნელოვნების გათვალისწინებით – კლებადობის პრინციპით.

კაბის სილუეტის გეომეტრიული ფორმა

ცხრილი 1.

	გავრცელების რეგიონი	სამოსის ესკიზი	სილუეტური ფორმა	გეომეტრიული ფორმა
	ქართლი, კახეთი, იმერეთი		გამოყვანილი სწორი	
	თუშეთი		სწორი გაფართოებული	
	ფშავი		გამოყვანილი	
	ხევსურეთი		სწორი გაფართოებული	

	მთიულეთი		გამოყვანილი	
	ხევი		გამოყვანილი	
	ლეჩხუმი		გამოყვანილი	
	რაჭა		გამოყვანილი	
	სვანეთი		სწორი გაფართოებული	
0	სამეგრელო		გამოყვანილი	

1	აფხა- ზეთი		გამოყვან- ილი	
2	გურია		გამოყვან- ილი	
3	აჭარა		სწორი გაფართოებუ- ლი	
4	მეს- ხეთ-ჯავახე- თი		გაფარ- თოებული	

როგორც ცხრილიდან ჩანს, ქართული კაბის ეთნოფორმების ანალიზმა გამოავლინა, რომ ძირითადად გავრცელებულია სილუეტის სამი სახე: გამოყვანილი (გამოყვანილობის სხვადასხვა ხარისხით), სწორი და გაფართოებული. განსაზღვრულ იქნა აღნიშნული ფორმების შეხვედრათა სიხშირე რეგიონების მიხედვით და შესაბამისად შეხვედრის პროცენტული თანაფარდობა საერთო რაოდენობიდან (ცხრ.2).

### კაბის სილუეტის შეხვედრათა სიხშირე

ცხრილი 2.

	რეგიონი	სილუეტი	შეხვედრათა რაოდენობა	შეხვედრის %
	ქართლი-კახეთი, იმერეთი,	გამოყვანილი	36	37,1 %

	ფშავი, მთიულეთი, ხევი, ლეჩხუმი, რაჭა, სამეგრელო, აფხაზეთი, მეს. ჯავახ.			
	თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი, ხევი, ლეჩხუმი, აჭარა, მესხ-ჯავახ.	გაფართოებული	31	31,9 7%
	თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი, ხევი, რაჭა, სვანეთი, აჭარა	სწორი	30	30,9 3%
	<b>სულ</b>		<b>97</b>	

როგორც ცხრილის მონაცემები გვიჩვენებს კაბის სილუეტურ ფორმებს შორის ყველაზე ხშირად გამოყვანილი სილუეტი გვხვდება, უფრო ნაკლებად გაფართოებული სილუეტი, ხოლო შედარებით იშვიათად სწორი სილუეტი, თუმცა აღნიშნული სილუეტების შეხვედრის რაოდენობათა შორის სხვაობა არცთუ მნიშვნელოვანია.

სილუეტური ფორმების შეხვედრათა რაოდენობიდან გამომდინარე, მათემატიკური სტატისტიკის მეთოდების გამოყენებით, განხორციელდა მათი კოდირება. კოდის პირველი ციფრი – 1 მიენიჭა ყველაზე ხშირად შემხვედრ ფორმას, ხოლო დანარჩენი, შესაბამისად, კლებადობის მიხედვით. (ცხრ. 3).

**კაბის სილუეტური ფორმების კოდირება**

**ცხრილი 3.**

კოდის ციფრი	სილუეტი
1	გამოყვანილი
2	გაფართოებული
3	სწორი

ზემოაღნიშნული კვლევის შედეგები გათვალისწინებული იქნება ქართული ტრადიციული სამოსის კონსტრუქციულ-კომპოზიციური მახასიათებლების ელექტრონული ბანკის ფორმირების პროცესში, რომელშიდაც მოცემულია იქნება ტრადიციული სამოსის არამხოლოდ ეთნოგრაფიული დახასიათება (სამოსის ფოტო, გარეგნული აღწერა) და კონსტრუქციული ანალიზი (სამოსის ტექნიკური ესკიზი, კონსტრუქციოლი ელემენტები, სამოსის განფენა, სილუეტი, გამოჭრილი დეტალების რაოდენობა), არამედ კომპოზი-



ციური ანალიზიც (მასალა, მისი გარეგნული სახე, ფერი, ფაქტურა, დეკორატიული გაფორმება, დეკორის ფერი).

ტრადიციული სამოსის კონსტრუქციულ-კომპოზიციური მახასიათებლების ელექტრონული ბანკის მიხედვით შედგენილი იქნება პროგრამა, რომლის საშუალებით დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა ექნება მოიძიოს საჭირო ინფორმაცია–საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ტრადიციული სამოსის შესახებ. აღნიშნული პროგრამის გამოყენება კოსტიუმის დიზაინერს საშუალებას მისცემს სწრაფად იქნას ორიენტირებული შემოქმედებით საქმიანობაში.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ნ. დოლიძე, მ. დათუაშვილი, ი. უგრეხელიძე, ი. ჩარკვიანი, ქ. ჩირგაძე, ლ. ლურსმანაშვილი, გ. კვანტიძე „ქართული ეროვნული სამოსის ილუსტრირებული ცნობარი“ აწსუ გამომცემლობა ქუთაისი, 2017. 380 გვ.

2. И.Угрехелидзе, Н. Долидзе, Х.Дарсавелидзе Формирование информационной базы грузинской национальной одежды. International scientific jurnal Theoretical end Applied Science 09(77) 2019 Pages: 368-371

3. Долидзе Н., Дарсавелидзе Х. 2018. Проектирование современной одежды на основе грузинского национального костюма. Международная научно-практическая конференция «Актуальные проблемы современного дизайна». Украина

4. Dolidze, N., & Darsavelidze, Kh. „Research on awareness of traditional Georgian clothing“ Philadelphia, USA ISJ Theoretical & Applied Science 02(130) 2024 Pages: 243-247